ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი

პროფესორი ლელა მასხულია
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი მარინა მათიაშვილი

ასოცირებული პროფესორი ანნა გოგელია

ასოცირებული პროფესორი ზურაბ კახაბრიშვილი

ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი გრიგოლ სულაბერიძე

ასოცირებული პროფესორი ვალერი ახალკაცი

ასისტენტ-პროფესორი ირმა კვინიკაძე

ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა 2007 წელს, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დაარსებისთანავე. დეპარტამენტს 2007-2011 წლებში ხელმძღვანელობდა ასოცირებული პროფესორი იგორ დოლიძე. 2009 წელს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე შეიქმნა ფუნქციური მორფოლოგიის დეპარტამენტი, ორი მიმართულების შემადგენლობით: ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგიის და ბიოქიმიის მიმართულება (2013 წლიდან დეპარტამენტი) - ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მანანა რუხაძე, და დინამიკური ანატომიის და ნეიროანატომიის მიმართულება (2013 წლიდან კერძო დინამიკური ანატომიის დეპარტამენტი) - ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი გრიგოლ სულაბერიძე. აღნიშნული დეპარტამენტების ინტეგრაცია ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტში განხორციელდა 2017 წლიდან, ხოლო 2021 წლიდან ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტს შეურთდა ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის დეპარტამენტი.

2011 წლიდან ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი ლელა მასხულია. დეპარტამენტში ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები ეუფლებიან ფიზიკური მედიცინის ძირითად დისციპლინებს, იძენენ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ქმედუნარიანობის შეზღუდვით მიმდინარე პათოლოგიური მდგომარეობების პრევენციის, დიაგნოზის დადგენის, სარეაბილიტაციო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში, ისევე როგორც ფიზიკური რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო კლინიკურ უნარებს. დეპარტამენტის ბაზაზე ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა “რეაბილიტაცია სპორტში“ და სამაგისტრო პროგრამის „პედიატრიული რეაბილიტაცია“ მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან, დეპარტამენტი ახორციელებს ძირითად სასწავლო კურსებს მედიცინის, მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტისთვის, ასევე, არჩევით საგნებს სტომატოლოგიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტების და საექთნო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი

დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი თემატიკა: გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების ადაპტაცია ფიზიკურ დატვირთვაზე; ოქსიდაციური სტრესის როლი გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების ინტენსიური ფიზიკური დატვირთვით განპირობებული დაზიანებების პათოგენეზში; გადაწვრთნის ფენომენი სპორტში; ფიზიკური რეაბილიტაცია საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სპორტული დაზიანებებისა და მათი გართულებების დროს; მუხლის პოსტტრავმული და პოსტოპერაციული ართროფიბროზის ფიზიკური რეაბილიტაცია; მხრის რბილი ქსოვილების დაზიანების მართვა ფიზიკური აგენტების ზემოქმედებით; ფიზიკური დატვირთვა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციასა და რეაბილიტაციაში. მნიშვნელოვანი და აქტუალურია კვლევის ახალი მიმართულება, რომელიც შეისწავლის SARS-CoV-2/COVID-19-ის შემდგომ გართულებებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრიდან ახალგაზრდა პაციენტებში.

მნიშვნელოვანია დეპარტამენტის ჩართულობა სასუნთქი სისტემის დაავადებების რეაბილიტაციის, მათ შორის, SARS-CoV-2/COVID-19 შემდგომი სამკურნალო-სარეაბილიტაციო მართვის თეორიულ-პრაქტიკული კურსის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის პროგრამასთან პარტნიორობით და მჭიდრო თანამშრომლობით.

თსსუ 2017 წლიდან არის ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პარტნიორი USAID-ის საგრანტო პროგრამაში „ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტი საქართველოში“, რომელიც მიმართულია საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის გაძლიერებაზე და, სხვა ასპექტებთან ერთად, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას. ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული და, თსსუ-ის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკურ ცენტრთან ერთად, უზრუნველყოფს პროექტის აკადემიური, ასევე, კლინიკურ-პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. დეპარტამენტის თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან (ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის პროგრამა, აშშ; კარდიფის მეტროპოლიტან უნივერსიტეტის სპორტისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა, გაერთიანებული სამეფო; ტარტუს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ფიზიკური თერაპიის პროგრამა, ესტონეთი) ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, დეპარტამენტის სასწავლო კურსებში კურიკულუმის შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე ინსტრუმენტების დანერგვას.

ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი ამჟამად: ლელა მასხულია, პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი; მარინე მათიაშვილი, ასოცირებული პროფესორი; ანა გოგელია, ასოცირებული პროფესორი; გრიგოლ სულაბერიძე, ასოცირებული პროფესორი (დინამიკური ანატომიის განხრით); ზურაბ კახაბრიშვილი, ასოცირებული პროფესორი; ვალერი ახალკაცი ასოცირებული პროფესორი; ირმა კვინიკაძე, ასისტენტ-პროფესორი. მოწვეული მასწავლებლები: თამარ ჩუტკერაშვილი, ხათუნა ურუშაძე, ლალი გაბაშვილი, სოფიკო შაგიძე, თემურ მიქიაშვილი, მაია ნემსაძე, ეთერ აბაიშვილი, იზა რევია, ელენე წკრიალაშვილი, ნინო გორდულაძე, ქეთევან სივსივაძე, ვასილ ფოცხვერია, ლევან ახალკაცი, გიორგი იაშვილი, თამარ სეფერთელაძე, ლამარა ადამია, ქრისტინე დურგლიშვილი, მიხეილ გორშკოვი, გივი კობერიძე, თეონა შავშიშვილი, ანა ჭიჭინაძე; ლაბორანტი: ნინო სისაური.

ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი